

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბრძანება N 01-02/11**

**კოდიფიცირებული**

ქ. ბათუმი

08 თებერვალი, 2019 წ.

**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის  
მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 28 იანვრის N81887 მოხსენებითი ბარათისა და „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/-06 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს თანდართული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დანართი 1).
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის

N 01-012/11 ბრძანების

დანართი 1

კოდიფიცირებული

(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/179 ბრძანებით)

## ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში „პროგრამა“) განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, ბსუ-ს მართვის ორგანოების აქტებით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დებულებით ან/და ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი მტკიცდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

5. ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებზე და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე ვრცელდება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციები და სერვისები (ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, საქმისწარმოების ინსტრუქცია და სხვა), თუკი წინამდებარე წესით ან/და რექტორის ბრძანებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## **მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება (ჩარიცხვა)**

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელშიც აისახება:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
- ბ) ჩარიცხვის პირობები და მისაღები კონტინგენტი;
- გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
- დ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი (ფორმა);
- ე) ხელშეკრულების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადა.

2. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გამოცემული ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება მზადდება შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად (ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება ბსუ-ში, პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში).

3. ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

## **მუხლი 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა (შემდეგში „სსსმ“) პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სსსმ აპლიკანტს ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.

4. რეგისტრაციის შემდეგ ტესტირებამდე სსსმ აპლიკანტი ვალდებულია ბსუ-ს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;

ბ) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში: 1. აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას); 2. ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას); 3. შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას; 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. სსსმ აპლიკანტის ტესტირებას ორგანიზებას გაუწევს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

6. სსსმ აპლიკანტის ტესტირება მოიცავს მის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

7. პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელების მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ.

8. ტესტირების (პრაქტიკული მოსინჯვის) საფუძველზე სსსმ აპლიკანტის შეფასების წესი რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ტესტირების შედეგები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში გადაეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა აპლიკანტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია, ქმედუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია, ხელშეკრულება გაფორმდება მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

11. სსსმ აპლიკანტის ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

#### **მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები**

1. პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები მოიცავს ამ სტუდენტის პირად საქმეს და პროფესიულ პროგრამაზე მის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას.

2. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის წარმოება ხორციელდება ცენტრის შესაბამისი სპეციალისტის მიერ, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

#### **3. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში უნდა განთავსდეს:**

ა) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

ბ) **სარეგისტრაციო განცხადება** (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

გ) ფოტოსურათი  $\frac{3}{4}$  (მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი);

დ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო, კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი/პროფესიული განათლების დიპლომი ან უმაღლესი განათლების დიპლომი);

ე) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირის წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტის ასლი;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);

ზ) ხელშეკრულება და ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის ასლი;

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის/საჭიროების შემთხვევაში);

ი) პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

კ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები (სასწავლო ბარათი/შეფასების აქტები/უწყისები/კრედიტების აღიარების/განათლების აღიარების/პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი და სხვა);

ლ) კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის (სტანდარტული დანართის) გაცემის სამართლებრივი აქტები და გაცემული დიპლომის (ასევე დუბლიკატის) ასლი;

მ) წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების სამართლებრივი აქტები და მასალები (არსებობის შემთხვევაში);

ნ) პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განსათავსებელი, საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები (სახელის ან გვარის შეცვლის, დაჯილდოების, საუნივერსიტეტო პროექტებში მონაწილეობის და სხვა);

4. პროფესიული სტუდენტის პროფესიულ პროგრამაზე სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია/მასალა ინახება:

ა) საგამოცდო დავალება, პროექტი და სხვა - ცენტრში, სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი, ნადგურდება კანონმდებლობითი დადგენილი წესით;

ბ) გამოცდების, გამოცდების ჩატარების შესახებ ანგარიშები და სტუდენტის შეფასებათა უწყისები - ცენტრში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად 25 წლის ვადით შენახვის

მიზნით).

## **მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები**

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

გ) მიიღოს სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები, სრულყოფილი ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე;

დ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

თ) სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

ი) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

ბ) დაიცვას პროფესიულ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

## **მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);

დ) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

2. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის სასწავლო საწარმოსთან.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა (პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის) და სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა იმ გარემოებათა აღმოფხვრის შედეგად, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას. აღნიშნული აქტი უნდა გამოიცეს შესაბამის პერიოდში სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

## **მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა; *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/179 ბრძანებით)*

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ე) გარდაცვალება;

ვ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ - „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის შემთხვევაში, ცენტრის დერექტორის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 8. სასწავლო პროცესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები.

2. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი, როგორც სასწავლო დღე. დუალური სწავლების შემთხვევაში სტუდენტი საწარმოში შესაძლოა მუშაობდეს განსხვავებული გრაფიკით, შრომის კოდექსისა და საწარმოს შინაგანაწესის გათვალისწინებით.

4. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორცილდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით.

5. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული



ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

6. პროფესიულ პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 9. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები**

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

2. უნივერსიტეტი ქმნის ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობებს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

3. ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით უნივერსიტეტი საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

4. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

5. სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგნის მოთხოვნებთან მიმართებით.

7. სწავლის დაწყებიდან 2-3 კვირის ვადაში სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ცენტრს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება ცენტრის დირექტორს (დამოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების და სხვა რესურსის საჭიროებების შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგნეს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

## **მუხლი 10. სტუდენტის მიღწევების შეფასება და გასაჩივრება**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

2. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.

3. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება შემდეგი ორის სახის შეფასება:

ა) **განმავითარებელი შეფასება** - მოდულის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც

ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს;

ბ) **განსაზღვრელი შეფასება** - ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; ან 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

6. სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა დადასტურდეს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულის არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და მას არ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

7. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განსაზღვრელი შეფასების თარიღს.

*(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/179 ბრძანებით)*

8. შეზღუდული შესაძლებლობისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

9. ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ცენტრი უფლებამოსილია ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

10. შესაძლებელია: ა) სწავლის შედეგების შეფასება ჩატარდეს ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს; ბ) რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად შეფასდეს.

11. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

12. დუალური სწავლების შემთხვევაში უნივერსიტეტსა და სასწავლო საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.

13. დუალური სწავლების შემთხვევაში, პირველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შუალედური გამოცდა, სასწავლო საწარმოში პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავების მიზნით.

14. პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება **მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში**.

15. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია გაასაჩივროს შეფასება (აპელაცია). ასეთ შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ **3 სამუშაო დღის ვადაში** პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პრაქტიკის ინსტრუქტორი და პროფესიული განათლების მასწავლებელი).

16. კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხს და შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეცვალოს სწავლის შედეგის დადასტურების თემატიკა/ტესტი/საკითხები.

### **მუხლი 11. შესრულების მტკიცებულება და შეფასების გაფორმება**

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით დადასტურებას. იგი უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

2. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

3. შესრულების მტკიცებულებები მოდულის დასრულებამდე ინახება პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ცენტრს.

4. სტუდენტის მიერ დადასტურებულ სწავლის შედეგებს პროფესიული განათლების მასწავლებელი აფორმებს ბსუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებულ უწყისში.

5. სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტები (უწყისები) ინახება ცენტრში ბსუ-ს დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 12. შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვერიფიკაცია**

1. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

2. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი (**წინამდებარე წესის ფორმა N1**) უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

ბ) მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;

გ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი;

დ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;

ე) შეფასების ჩატარების ადგილი;

ვ) შეფასების ჩატარების თარიღი;

ზ) სწავლის შედეგი; შესრულების კრიტერიუმები; შეფასების მიმართულება; შეფასების ინსტრუმენტები; შეფასების პროცესის აღწერა; შეფასების მტკიცებულება; შეფასების სქემა; დამატებითი პირობები; განმეორებითი შეფასების პროცედურები;

თ) შეფასების სწორი პასუხების ფურცელი.

5. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი (**წინამდებარე წესის ფორმა N1**) უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

6. შედგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, ვერიფიკაციის მიზნით, შეფასების განხორციელებამდე **არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარედგინება** (პირველადი განხილვა) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (შიდა ვერიფიკატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე ამოწმებს, თუ რამდენად თავსებადია შეფასების ინსტრუმენტი მოდულით განსაზღვრულ მიმართულებასთან.

7. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი (პირველადი წარმოდგენა) შეაფასოს (შეამოწმოს) მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და შეავსოს **წინამდებარე წესის ფორმა N2**-ის შესაბამისი გრაფები. აღნიშნული ქმედებით მან უნდა დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით უნდა დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს.

8. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები.

9. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების (სტუდენტების შეფასების) შემდეგ, **წინამდებარე წესის N1 ფორმის** შესაბამისად შედგენილი (შევსებული) დოკუმენტები არაუგვიანეს 10 დღეში წარუდგინოს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს.

10. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ვალდებულია განიხილოს და შეაფასოს (შეამოწმოს) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი **წინამდებარე წესის N1 ფორმის** შესაბამისად შედგენილი (შევსებული) საბოლოო დოკუმენტები და შეავსოს **წინამდებარე წესის N2 ფორმის** შესაბამისი გრაფა.

11. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი აწარმოებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირებას **წინამდებარე წესის ფორმა N1 და N2-ის** შევსების თაობაზე და აღრიცხავს მათი მიღება-ჩაბარებას (ელექტრონულად ან/და აღრიცხვის ჟურნალის მეშვეობით).

### **მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება**

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის თავისუფალ გადაადგილებას სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.

2. მობილობა ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში (თავისუფალი ადგილების შემთხვევაში), ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

3. ბსუ ახდენს მობილობის მსურველის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მსურველის მიერ ათვისებული მოდულების/სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა/თავსებადობა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან.

4. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება ცენტრის ადმინისტრირებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

5. კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მის მიერ გავლილი კრედიტების თაობაზე ან უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული სასწავლო ბარათი.

6. პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას, ვალდებულია წარმოადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები) და გააფორმოს ხელშეკრულება.

7. მობილობის მსურველთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება მობილობის საფუძველზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ პირის ჩარიცხვის შესახებ.

8. პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ცენტრი.

9. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

### **მუხლი 14. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

1. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ბსუ ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღებაში. სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს ბსუ-ს სხვა,

თავსებად/მომიჯნავე/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში) ან სწავლა გააგრძელოს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფს არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის შესაბამისობის განსაზღვრას (თავსებადობის დასკვნის შედეგენას), ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო გეგმის განსაზღვრის შესახებ. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

3. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, თავსებად, მომიჯნავე/მსგავს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პროფესიულ სტუდენტს კრედიტები უდიარდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

4. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მგავსი პროგრამა, უნივერსიტეტი აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ გონივრულ ვადაში აცნობებს პროფესიულ სტუდენტს, რათა მან შეძლოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.

5. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი, მსგავსი პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების აღნიშნულ დაწესებულებაში მობილობას.

### **მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის გაცემა**

1. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება.

2. **სწავლის შედეგი** არის განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

3. საკვალიფიკაციო კომისია შეისწავლის სტუდენტის პირად საქმეს, მის შეფასებებს, უფლებამოსილია პროგრამის ხელმძღვანელისგან ან პროფესიული მასწავლებლისგან მოითხოვოს დამატებითი დახასიათება, რეკომენდაცია ან დანიშნოს გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან.

4. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების

საკითხს, რომელმაც სრულად აითვისა ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

5. საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

6. საკვალიფიკაციო კომისიის ოქმისა და პროფესიული დიპლომის გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაიცემა დიპლომი.

7. პროფესიული დიპლომის ნიმუში მზადდება მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.

8. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი.

## **მუხლი 16. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენება**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის და პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, ცენტრი უზრუნველყოფს ბსუ-ს ადმინისტრაციისათვის მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა.

2. სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შექმნისას ბსუ-ს მიერ გაითვალისწინება ვარგისიანობის ვადა მათი გამოყენების მომენტისათვის.

4. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის ცენტრისათვის გადაცემას ახორციელებს ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, მიღება ჩაბარების აქტით. ცენტრში მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

5. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის/მოდულის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის.

## **მუხლი 17. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი**

1. პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

3. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის



განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

4. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაეცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან განადგურება დადგენილი წესით ან დარჩება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

5. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, შესაძლოა პროდუქტის რეალიზაცია ან სხვა პირისათვის გადაეცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, ან ნადგურდება დადგენილი წესით ან ხდება სხვაგვარად განკარგვა, ცენტრის დირექტორის წინადადებითა და ბსუ-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული პროდუქტის სხვაგვარად განკარგვა (გარდა განადგურებისა), შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს. აღნიშნული პირობების კონტროლი და პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე დაეკისრება ცენტრს.

7. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

### **მუხლი 18. ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია**

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემომყოფ პირებს.

2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს.

3. უტილიზაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.

4. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს პასუხისმგენელი პირის მიერ წარდგენილ სამსახურებრივ ბარათში/ანგარიშში, ხოლო საბოლოო ინფორმაცია - ცენტრის დირექტორის მიერ წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის -- თებერვლის N ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ (დანართი 1)

ფორმა N1 (1)

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

მოდულის სწავლის შედეგების შეფასების შემაჯამებელი ფორმა

პროგრამის სახელწოდება -

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -

სწავლის შედეგი:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღი/თვე/წელი: მოდულის

განმახორციელებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი -

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

№	შეფასების მიმართულება	შეფასების ინსტრუმენტი	დადასტურდა	არ დადასტურდა
1				
2				

საბოლოო შედეგი: \_\_\_\_\_

( სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული

განათლების მასწავლებელი

\_\_\_\_\_

გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს:

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის -- თებერვლის N ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ (დანართი 1)

ფორმა N1 (2)

**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი**

**შეფასების ინსტრუმენტი - გამოკითხვა**

შეთანხმებულია:

ხარისხის მართვის მენეჯერის სახელი, გვარი და ხელმოწერა

პროგრამის სახელწოდება -----  
 მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -----  
 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღი/თვე/წელი: -----  
 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი -----  
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -----  
 შეფასების ჩატარების ადგილი: -----  
 შეფასების ჩატარების თარიღი: -----

სწავლის შედეგი	შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს მოდულით გათვალისწინებული შესაბამისი სწავლის შედეგები.
შესრულების კრიტერიუმები	შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს ის შესრულების კრიტერიუმები, რაც მოდულშია მითითებული
შეფასების მიმართულება	გამოკითხვა
შეფასების ინსტრუმენტი	ტესტი (თანდართული ___ ფურც.) ან ზეპირი გამოკითხვა (აქ ჩაიწერება ის შეფასების ინსტრუმენტი, რაც მოდულშია მითითებული)
შეფასების პროცესის აღწერა	ტესტი ტარდება A გარემოში. ტესტირების ჩატარების ხანგრძლივობაა – 00 წუთი
შეფასების მტკიცებულება	შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი ან ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში - მასწავლებლის მიერ შევსებული დაკვირვების ფურცელი (თანდართული --- ფურც).
შეფასების სქემა	შენიშვნა: აქ მასწავლებლის მიერ უნდა ჩაიწეროს, თუ როგორც შეაფასებს სტუდენტს, მაგალითად: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად ყველა კითხვაზე დაფიქსირდება სწორი პასუხი.“
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს სტუდენტის შეფასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს ჯგუფური მუშაობა და სხვა.
განმეორებითი შეფასების პროცედურები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს განმეორებითი შეფასების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურა, მაგალითად: „შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს იმ მოდულის/მოდულების განხორციელებამდე რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ეს მოდული (მიეთითება იმ მოდულის დასახელება რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს) ან განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს პროგრამის დასრულებამდე რადგან ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას“.

**გამოკითხვის შეფასების ფურცელი**

შესრულების კრიტერიუმები	შეფასება	
		არ

		დადასტურდა	დადასტურდა
1.1.	აქ ჩაიწერება შესრულების კრიტერიუმი, ხოლო მის გასწვრივ შესაბამისი შედეგი (დადასტურდა ან არ დადასტურდა).		
1.2.			
1.3.			

სწავლის შედეგი NNNNNN-ის შეფასების მიმართულება „გამოკითხვა“ \_\_\_\_\_ (შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს საბოლოო შეფასება - დადასტურდა ან არ დადასტურდა).

**გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით**

\_\_\_\_\_ (პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა) და თარიღი \_\_\_\_\_

**სწავლის შედეგი NNN- ის დანართი 1 - ტესტი (ტესტის შემთხვევაში)**

შესრულების კრიტერიუმი (მაგალითად N1.1. აქ ჩაიწერება ის შეფასების კრიტერიუმი, რაც მოდულშია მითითებული)

(შენიშვნა: კრიტერიუმების მიხედვით ჩაიწერება ტესტები, მაგრამ არანაკლებ ოთხისა, შესაძლებელია ყველა შედეგის თეორიული ნაწილის შეფასება მოხდეს ერთდროულად)

**1.1.1. ტესტის შინაარსი:**

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

სწორი პასუხების ფურცელი (სწორი პასუხები ჩამოთვლილი უნდა იყოს კრიტერიუმების მიხედვით)

შესრულების კრიტერიუმები	სწორი პასუხი
1.1. შესრულების კრიტერიუმი	
1.1.1. შესრულების ქვეკრიტერიუმი	
1.1.2.	
1.1.3.	

პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა -----

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის -- თებერვლის N ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ (დანართი 1)

ფორმა N1 (3)

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

შეფასების ინსტრუმენტი - პროდუქტი

შეთანხმებულია:

ხარისხის მართვის მენეჯერის სახელი, გვარი და ხელმოწერა

პროგრამის სახელწოდება -----  
 მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -----  
 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღი/თვე/წელი: -----  
 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი -----  
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -----  
 შეფასების ჩატარების ადგილი: -----  
 შეფასების ჩატარების თარიღი: -----

სწავლის შედეგი	შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს მოდულით გათვალისწინებული შესაბამისი სწავლის შედეგები.
შესრულების კრიტერიუმები	შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს ის შესრულების კრიტერიუმები, რაც მოდულშია მითითებული
შეფასების მიმართულება	პროდუქტი/შედეგის შეფასება
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება (აქ ჩაიწერება ის შეფასების ინსტრუმენტი, რაც მოდულშია მითითებული)
შეფასების პროცესის აღწერა	სტუდენტის შეფასება ხდება B გარემოში, პრაქტიკული დავალების შესრულებისთვის სტუდენტს ეძლევა – 00 წუთი
შეფასების მტკიცებულება	შენიშვნა: ამ გრაფაში მიეთითება შესაბამისი შეფასების მტკიცებულება, მაგალითად, შესრულებული პრაქტიკული დავალება; სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო... ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის საბოლოო შეფასების შემდეგ წინამდებარე ფორმას უნდა დაერთოს სტუდენტის ნამუშევარი, ამობეჭდილი ფურცელი ან ის, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი.
შეფასების სქემა	შენიშვნა: აქ მასწავლებლის მიერ უნდა ჩაიწეროს, თუ როგორც შეაფასებს სტუდენტს, მაგალითად: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად ყველა კითხვაზე დაფიქსირდება სწორი პასუხი.“
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს სტუდენტის შეფასებთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს ჯგუფური მუშაობა და სხვა.
განმეორებითი შეფასების პროცედურები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს განმეორებითი შეფასების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურა, მაგალითად: „შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს იმ მოდულის/მოდულების განხორციელებამდე რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ეს მოდული (მიეთითება იმ მოდულის დასახელება რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს) ან განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს პროგრამის დასრულებამდე რადგან ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას.“

**პრაქტიკული დავალების (პროდუქტი) შეფასების ფურცელი**

შესრულების კრიტერიუმები	შეფასება	
	დადასტურდა	არ დადასტურდა
<b>1.1.</b> აქ ჩაიწერება შესრულების კრიტერიუმი, რაზედაც შესაფასებელი პირი ქმნის პროდუქტს (ქვემოთ მოცემულ გრაფებში ჩაიწერება იმ ამოცანების/მოქმედების თანმიმდევრობა, თუ როგორ ქმნის პროფესიული სტუდენტი მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ პრაქტიკულ დავალებას)		
<b>1.1.1.</b>		
<b>1.1.2.</b>		

სწავლის შედეგი 1-ის შეფასების მიმართულება „ პროდუქტი/შედეგის შეფასება“ \_\_\_\_\_  
(დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი: \_\_\_\_\_

**გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით**

\_\_\_\_\_

(პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა) და თარიღი \_\_\_\_\_

**სწავლის შედეგი NNNN-ის - პრაქტიკული დავალება - პროდუქტი (დანართი 1)**

**შესრულების კრიტერიუმი -1.1.** (აქ ჩაიწერება ის შეფასების კრიტერიუმი, რაც მოდულშია მითითებული)

აქ ჩაიწერება იმ პრაქტიკული დავალების მოკლე შინაარსი, რასაც პროფესიული სტუდენტი შეასრულებს, დანართის სახით წარმოდგენილი იქნება ის პროდუქტი (სტუდენტის ნამუშევარი, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი)

**სწორი პასუხების ფურცელი :** დანართის სახით, მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს იმ პროდუქტის ნიმუში, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი (მაგ. სხვადასხვა დოკუმენტების ფორმები)

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის -- თებერვლის N ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ (დანართი 1)

ფორმა N1 (4)

**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი  
შეფასების ინსტრუმენტი - პროცესზე დაკვირვება**

შეთანხმებულია:

ხარისხის მართვის მენეჯერის სახელი, გვარი და  
ხელმოწერა

პროგრამის სახელწოდება -----  
 მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -----  
 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღი/თვე/წელი: -----  
 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი -----  
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -----  
 შეფასების ჩატარების ადგილი: -----  
 შეფასების ჩატარების თარიღი: -----

სწავლის შედეგი	შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს მოდულით გათვალისწინებული შესაბამისი სწავლის შედეგები.
შესრულების კრიტერიუმები	შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს ის შესრულების კრიტერიუმები, რაც მოდულშია მითითებული
შეფასების მიმართულება	პროცესზე დაკვირვება
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება (აქ ჩაიწერება ის შეფასების ინსტრუმენტი, რაც მოდულშია მითითებული)
შეფასების პროცესის აღწერა	შეფასების პროცესი მიმდინარეობს C გარემოში, პროცესზე დაკვირვების ხანგრძლივობა – 30 წუთი
შეფასების მტკიცებულება	მასწავლებლის მიერ შევსებული დაკვირვების ფურცელი
შეფასების სქემა	შენიშვნა: აქ მასწავლებლის მიერ უნდა ჩაიწეროს, თუ როგორც შეაფასებს სტუდენტს, მაგალითად: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად ყველა კითხვაზე დაფიქსირდება სწორი პასუხი.“
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს სტუდენტის შეფასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს ჯგუფური მუშაობა და სხვა.
განმეორებითი შეფასების პროცედურები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს განმეორებითი შეფასების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურა, მაგალითად: „შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს იმ მოდულის/მოდულების განხორციელებამდე რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ეს მოდული (მიეთითება იმ მოდულის დასახელება რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს) ან განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს პროგრამის დასრულებამდე რადგან ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას“.

პრაქტიკული დავალების (პროცესზე დაკვირვება) შეფასების ფურცელი

	შეფასება
--	----------

შესრულების კრიტერიუმები		შეასრულა	ვერ შეასრულა
1.1. აქ ჩაიწერება შესრულების კრიტერიუმი, რასაც ასრულებს პროფესიული სტუდენტი (ქვემოთ მოცემულ გრაფებში ჩაიწერება იმ ამოცანების/მოქმედების თანმიმდევრობა, თუ როგორ ასრულებს პროფესიული სტუდენტი მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ პრაქტიკულ დავალებას)			
1.1.1.			
1.1.2.			

სწავლის შედეგი 1-ის შეფასების მიმართულება „პროცესზე დაკვირვება“ \_\_\_\_\_ (უნდა ჩაიწეროს შესაბამისი შეფასება - შეასრულა ან ვერ შეასრულა).

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი: \_\_\_\_\_

**გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით**

\_\_\_\_\_

(პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა) და თარიღი \_\_\_\_\_

**სწავლის შედეგი NNN-ის პრაქტიკული დავალება - პროცესზე დაკვირვება (დანართი 1)**

**შესრულების კრიტერიუმი -1.1.** (აქ ჩაიწერება ის შეფასების კრიტერიუმი, რაც მოდულშია მითითებული)

აქ ჩაიწერება იმ პრაქტიკული დავალების მოკლე შინაარსი, რასაც პროფესიული სტუდენტი შეასრულებს. დავალებიდან გამომდინარე დანართის სახით წარმოდგენილი იქნება ის პროდუქტი (სტუდენტის ნამუშევარი, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი)

**სწორი პასუხების ფურცელი :** დანართის სახით (მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე) წარმოდგენილი უნდა იყოს იმ პროდუქტის ნიმუში, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი (მაგ. სხვადასხვა დოკუმენტების ფორმები)



ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ (დანართი 1)

(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/179 ბრძანებით)

ფორმა N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა

შეფასების ინსტრუმენტის დასახელება	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და განხორციელების დაწყების თარიღი (თარიღი/თვე/წელი)	
მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი:	
მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი	

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	
სწავლის შედეგი და დადასტურების თარიღი	
შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) თარიღი:	
შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებლები	ხარისხის მართვის მენეჯერი :  დარგის სპეციალისტი:

	შეფასების ინსტრუმენტის წინასწარი (პირველადი) შემოწმების კრიტერიუმები	დაახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /შენიშვნები
1.	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას				
1.1.	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებას;				
1.2.	პროგრამის დასახელებას;				
1.3.	მოდულის სახელწოდებას და სარეგისტრაციო ნომერს;				
1.4.	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღს/თვეს/წელს;				
1.5.	პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელს და გვარს;				
1.6.	პროფესიული სტუდენტის სახელს და გვარს;				
1.7.	შეფასების ჩატარების ადგილს				
1.8.	შეფასების ჩატარების თარიღს				
2.	შეფასების ინსტრუმენტში შესაბამისობაშია შესაფასებელი სწავლის შედეგები/შესრულების კრიტერიუმები				

3.	შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან				
4.	შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს				
5.	წარმოდგენილია სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა				
6.	სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა მარტივი და გასაგებია				
7.	აღწერილია „დამატებითი პირობები“				
8.	განსაზღვრულია დავალების დადასტურების პირობები (თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად)				
9.	დავალების დადასტურების პირობები გასაგებად არის აღწერილი				
10.	განსაზღვრულია რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის დასადასტურებლად				
11.	შერჩეული მტკიცებულება ვალიდურია (მიზნის შესაბამისი)				
12.	შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისია შეფასების განსახორციელებლად				
13.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ავტორი/ავტორები				
14.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ვერიფიკატორი (ინსტრუმენტის შემმოწმებელი):				
15.	გაწერილია განმეორებითი შეფასების პროცედურები				

რეკომენდაციები/შენიშვნები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად (არსებობის შემთხვევაში):

პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა და თარიღი -----

--

დარგის სპეციალისტის ხელმოწერა და თარიღი -----

ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა და თარიღი -----